სახალხო გაზეთი

№ 967 სამშაბათი, 13 აგვისტო 1913 წ. № 967

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით
პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს 75 კაპ.
არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა
მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.
დღეს, 3 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება
დიდი საეფექტო წარმოდგენა,
შეცვლილი პროგრამით და ცნობილ ატრაქციონებს **4 ეშმაკის** მონაწილეობით, რომელნიც მოწვეულნი არიან კიდევ 15 დღით და რომელნიც დღეს გააოცებენ ხალხს ახალი საშიშარი ოინებით ცირკის გუმბათის ქვეშ. დღეს განახლდება გასტროლი ცნობილი მასხარა სატირიკოსის **რობერტსის** მისის ჭკვიანი ვირით „იაშკათი" და მოლაპარაკე მათემატიკოსი ძაღლით „ტირასით", რომელმაც მეცნიერთა საზოგადოება გააკვირვა. გამოსვლა შეუდარებელ მოჯირითე ბულგარელ ქალის ქ-ნ **თამარასი**. გამოსვლა ფენომენ მუცლით მოლაპარაკე **ბ-ნ ბროკარსის** მანქანით მოლაპარაკეთა მთელი ჯგუფით. გამოსვლა ხალხის საყვარელ მასხარა-იუმორისტების **ძმ. ვინჩეცოვებ სა.** გამოსვლა და ვარჯიშობა მეზღვაურ ჯამბაზების **ქ-ნნი ელა და კარპისა.**
ანონსი: უქმის გამო 14 აგვისტოს საღამოთი წარმოდგენა არ იქნება. 15 აგვისტოს გაიმართება ორი წარმოდგენა დილით და საღამოთი.
დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.
დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 551. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა
ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა
უდიდესი წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.
ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.
ახალ მაღაზიას სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.
ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

ტფილისის ეპარქიალურ ქალთა
სასწავლებელი
აცხადებს, რომ განმეორებითი და დამატებითი გამოცდა სასწავლებელში მოხდება **22—24 აგვისტოს,** ხოლო მისაღები მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში და მესამე კლასში **26—28 აგვისტოს,** (სხვა კლასებში ადგილის უქონლობისა გამო მიღება წელს არ იქნება).
რადგანაც სასწავლებლის შენობის გადაკეთება გვიანდება, სწავლა სასწავლებელში დაიწყება **1 ოქტომბერს,** მანამდის პანსიონიც დაკეტილი იქნება. 549

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს. ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	მარკევიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ 12—1 ფონდოევი გ. ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან
ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის **ე. ფაუსტინის** ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის **კონევსკის** და ვიოლონჩელზე დამკვრელის **სტეფანჩაკის** მონაწილეობით. 1409
გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი
რესტორანი
მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—ბრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.
გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული. **ფასები ზომიერია.** სამაგალითო გადასახედავი, საღი და გრილი ჰერი.
ტელეფ. № 14—66.
რესტორანის ხელმძღვანელი **ჯინჭარაძე.**

გორის ვაჟთა
გიმნაზია
აცხადებს, რომ გიმნაზიაში შესვლის მსურველთა
გამოცდა დაიწყება ყველა კლასებში
26 აგვისტოს. 552

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.
შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლებისა.
განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.
მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.
იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.
ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137
ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.
ოქროს მედალი [illegible] 1910 წ.

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაშაკაშე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606"-ით 1035

საზურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

ექიმი მ. მუსხელიშვილი
1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

დოქტორი მედიცინისა
ი. გ. ჩუდნოვსკი
დაბრუნდა და განაახლა ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფების მიღება ყოვ.-დღე, დილის 9—11 ს.-დე და საღამ. 5—8 ს.-დე; **კიროჩნი ქ.,** სახ. № 18, **ტელეფ. № 1090.** 554

კბილის
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს
აბასთუმანში.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ტფილისი, 13 აგვისტო

სამშობლო ენა სახალხო სკოლებში.

მოგეხსენებათ, რა ძუნწად იქცევა სახელმწიფო სათათბირო, როდესაც საქმე არა-რუსთა ბედ-იღბალს შეეხება. თანახმად ერთხელ მიღებულ ნაციონალისტურ კურსისა, სათათბიროს მინიმუმამდე მიჰყავს არა-რუსთა ეროვნული მოთხოვნილებანი. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სამშობლო ენის შესახებაც დიდი გულხალვათობა არ გამოიჩინა და მცირედით დაკმაყოფილდა. ეს მცირედი გამოიხატა იმაში, რომ სათათბირომ და შემდეგ სახელმწიფო საბჭომაც შესაძლებლად დაინახეს სახალხო სკოლების პირველ ორ განყოფილებაში სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. ეს რეფორმა თავისთავად ბევრს ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც აქამდის იყო, მაინც უფრო მეტს ასპარეზს ანიჭებს სამშობლო ენას.

მართალია ეს ასეა, მაგრამ საინტერესოა, როგორ განხორციელდება ახალი რეფორმა ცხოვრებაში, შესაძლებელი გაჰხდება თუ არა ახალი კანონით სარგებლობა ისე, როგორც ამას თვით კანონის შინაარსი მოითხოვს. ნუ გაგიკვირდება, მკითხველო, ასეთი ეჭვიანობა ჩვენის მხრით? განა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა იმისა, რომ კანონი კანონად დარჩენილა და კანონის ამსრულებელთა სურვილი კი სურვილად? შორს რომ არ წავიდეთ, 1881 წლის სამოსწავლო გეგმის ისტორია მაინც გავიხსენოთ. მით უფრო მეტი ეჭვი შეგვიძლიან აღგვეძრას ეხლა, როდესაც სახალხო განათლების სამინისტრომ გამოსცა ცირკულიარი სახალხო სკოლებში სამშობლო ენის ხმარების შესახებ.

საერთო დამახასიათებელი თვისება ამ ცირკულიარისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, მიუხედავად იმისა, რომ ორ განყოფილებაში სამშობლო ენას ადგილს უთმობს, მაინც დიდს ასპარეზს უტოვებს მმართველთა პირადს შეხედულებასა და სურვილს. ეს ისეთი ნაკლია ცირკულიარისა, რომელსაც შეუძლიან არარად აქციოს კანონი და სრულიად დაუკარგოს რეფორმას თავისი ნამდვილი შინაარსი. თავისთავად თითქოს საქმე და სადავო არაფერია. საკანონმდებლო დაწესებულებებმა შესაძლებლად დაინახეს, სახალხო სკოლების პირველ ორ განყოფილებაში სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. ორნაირად გაგება ამ კანონისა შეუძლებელია, ორნაირი გზის ამორჩევა მის განსახორციელებლად შეუძლებელია. მაგრამ სახალხო განათლების დღევანდელმა ხელმძღვანელმა, მინისტრმა კასსომ, მაინც იმდენი მოახერხა, რომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური, ეს უფლებაც აღიარა და სამშობლო ენის ბედიც სასკოლო ადმინისტრაციის პირად სურვილებს დაუქვემდებარა.

ახალი წესების მე-4-ე §-ის მიხედვით, სწავლა სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს ერთ-კლასიან სასწავლებლებში პირველს ორს წელიწადს, ორ კლასიან სასწავლებლებში—პირველ კლასებში. ცხადია და ნათელი. მგონია ასეთი რედაქცია წესდებისა არავითარ ეჭვს არ უნდა ჰბადებდეს. მაგრამ ასეთი ცხადი და ყველასათვის გასაგები რედაქციით სამინისტრო ვერა კმაყოფილდება. წესებს დართული აქვს განმარტება, რომელიც სრულიად აქარწყლებს მთელ §-ის მნიშვნელობას. სწავლება უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ 2 წლის გასვლამდე მოსწავლენი ვერ ითვისებენ საგნებს რუსულ ენაზე. ცხადია, თუ მასწავლებელმა ან რევიზორმა აღნიშნა, რომ მოსწავლენი ითვისებენ საგნებს რუსულად ორ წელზე ადრე, სწავლა რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდეს.

ეს განმარტება განმარტებას აღარ საჭიროებს. მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რანაირ პრაქტიკულ შემდეგებს გამოიღებს იგი. უპირველესად ყოვლისა საკითხავია, რად დასჭირდათ ასეთი განმარტება? რახან საკანონმდებლო დაწესებულებებმა საჭიროდ დაინახეს პირველ ორ განყოფილებაში სწავლების სამშობლო ენაზე შემოღება, სჩანს დამტკიცებულად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ პირველ ორს წელიწადს მოსწავლეს მხოლოდ სამშობლო ენაზე შეუძლიან შეითვისოს საგნები. საღ რაციონალურ პედაგოგიას თუ დავეკითხებით, ორი წელიწადიც ძალიან მცირე ვადად უნდა ვაღიაროთ, მაგრამ სათათბირომ ისე ივარაუდა, რომ ორი წლის განმავლობაში მოსწავლემ სამშობლო ენაზე უნდა შეიძინოს ცოდნა, სჩანს სათათბიროს ორი წელიწადი მიაჩნია იმ ვადად, რომლის განმავლობაშიაც ბავშვი საკმარისად უნდა მომწიფდეს, მომაგრდეს და შეიძლოს რუსული ენის პროდუქტიულად შესწავლა. თუ ეს ასეა, რაღად დასჭირდა სამინისტროს სათუო განმარტება? ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან სამინისტროს ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება არა სწამს, არ ეთანხმება და ჰგონია, რომ მოსწავლეს უფრო ადრე შეუძლიან შეითვისოს უცხო ენაზე საგნები; ან ეთანხმება სათათბიროს, მაგრამ მაინც არ უნდა გზა მისცეს საღ პედაგოგიის მოსაზრებას. ჩვენ გვგონია, რომ მინისტრი ამ შემთხვევაში ძველ ტრადიციებს არა ჰღალატობს და უნდა სახალხო სკოლა კულავ გამარუსებელ პოლიტიკის იარაღად დასტოვოს. ლამაზი სიტყვები იმის შესახებ რომ სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია, მხოლოდ დეკორუმია. სახელმწიფო ენის სწავლების წინაალმდეგ არავინ არაფერს ამბობს, მაგრამ არც ის უნდათ, რომ სახალხო სკოლა ნაძალადევ გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდეს. სახალხო სკოლას სხვა, უფრო საპატიო დანიშნულება უნდა ჰქონდეს.

მაგრამ თავი დავანებოთ ამასაც. ვსთქვათ, მინისტრი ცამდის მართალია. ვსთქვათ, ასეთს პოლიტიკას თვით უმაღლესი სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ პატარა ბავშვების დასახიჩრება რომელიმე სახელმწიფოს ანგარიშებში შედიოდეს. რანაირი პრაქტიკული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამნაირ განკარგულებას? სწავლება პირველ ორ წელიწადს სამშობლო ენაზე იწარმოებს. მოვა რევიზორი და უსათუოდ დაინახავს, რომ მოსწავლეებს შეუძლიანთ საგნები რუსულ ენაზე შეისწავლონ. თუ ამას დაინახავს, უსათუოდ კიდეც მოსთხოვს მასწავლებელს, რომ სწავლა რუსულად სწარმოებდეს. შეიძლება მასწავლებელი არ დაეთანხმოს, შეიძლება კიდეც დაეთანხმოს. ორივე შემთხვევაში უბედურება იქნება. თუ არ დაეთანხმა, სამოსწავლო უწყება ამას ურჩობად ჩაუთვლის, მასწავლებელს არა კეთილ-საიმედოდ აღიარებს. თუ მასწავლებელი დაეთანხმა, საქმე გაფუჭდება. ეს განმარტება გადაიქცევა დაუსრულებელ კონფლიქტების საბაბად. ამასთანავე ერთად არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ სიმართლე ყოველთვის იმისკენ იქნება, ვის ხელშიც ძალაა. სამოსწავლო უწყებას ხელში უჭირავს მრავალი ისეთი საშუალება, რომლის შემწეობითაც შეუძლიან მასწავლებელი თავის სურვილების აღმასრულებელ აგენტად აქციოს და სწავლა-აღზრდა სახალხო სკოლებში, მიუხედავად კანონში ნათლად გამოთქმულ აზრისა, ისე წაიმართოს, როგორც ეს მას მოესურვება.

ასე გაიგო სამინისტრომ სათათბიროს კანონი და ასეთი შინარსიის ცირკულიარით მიჰმართა ოლქის მზრუნველებს. აღსანიშნავია ცირკულიარის ის ადგილიც, რომელიც მასწავლებლის დანიშვნას შეეხება. სახალხო სკოლებში უნდა ინიშნებოდეს ისეთი მასწავლებლები, რომლებმაც ადგილობრივი ენები იციან. ცხადია, რომ, მაგალითად, საქართველოს სახალხო სკოლებში მასწავლებლად ქართველები უნდა დაინიშნონ. მინისტრის ცირკულიარი კი აქაც ისეთს განმარტებას ურთავს, რომ რეფორმის მნიშვნელობა შეიძლება სრულიად გაქარწყლდეს. თუ ვინიცობაა, სწერია ცირკულიარში, ადგილობრივ მკვიდრთაგან ვერ გამოვიდა საკმარისი რიცხვი სახალხო მასწავლებლებისა, შეიძლება რუსიც დაინიშნოსო, მხოლოდ მას უნდა განემარტოს, რომ საჭიროა ადგილობრივი ენის შესწავლაო.

ესეც ისეთი თვისების განმარტება, რომ სახალხო განათლების სამინისტროს ადგილობრივ აგენტებს შეუძლიანთ თავისებურად გამოიყენონ. ამის შემდეგ არც კი უნდა გაგვიკვირდეს, თუ ადგილობრივ მკვიდრთაგან ძალიან ცოტა მასწავლებლები „აღმოჩნდებიან". ასეთია კასსოს ცირკულიარი სახალხო სკოლებში სამშობლო ენის სწავლების შესახებ. როგორც დავინახავთ, იგი ძალიან დიდს ასპარეზს უტოვებს სასკოლო ადმინისტრაციის პირადს სურვილებს. ადვილად შესაძლებელია ადმინისტრაციამ ეს უფლება ბოროტად არ გამოიყენოს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა აგენტმა, სხვა და სხვა მოსაზრებით, კანონის დედა-აზრს გვერდი აუხვიოს და პოლიტიკანობა დაიწყოს. ამიტომ სახალხო მასწავლებლები განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოეკიდნენ ახალს კანონს და ისარგებლონ იმითი **ისე**, როგორც ამას თვით კანონის პირდაპირი შინაარსი და ხასიათი უკარნახებს.

ქართული პრესა

გაზეთმა „განთიადმა" ჯერ წინა დღით გამოაცხადა, ხვალ ჩვენს გაზეთში ნარიძეს წერილი დაიბეჭდებაო და მერე თვით წერილი დაბეჭდა.

გვიკვირდა ასეთი რეკლამა, რადგანაც სერიოზულ მწერალსა და ორგანოს მყვირალა რეკლამა არა სჭირია. მაგრამ, როდესაც „განთიადის" მე-9-ე ნომერში დაბეჭდილი ნარიძის ფელეტონი წავიკითხეთ, დავრწმუნდით, რომ მისთვის ეს რეკლამა მართლად საჭირო ყოფილა: უამისოდ ვინ მიაქცევდა ყურადღებას ბ-ნ ნარიძის უხეირო ნაცოხნს? ბ-ნ ნარიძის ფელეტონში ახალი რამ ისეთი, რაც ათასჯერ არ ეთქ ას „განთიადს", არაფერია. ახალია მხოლოდ ცინიკური გულ-ახდილობა, ჩვეულებრივი თვისება ისეთი ადამიანებისა, რომელთაც თავიანთი თავი დიდს რამედ წარმოუდგენიათ, მაგრამ თავისი აზროვნებითა და გონებრივი გამჭრიახობით, ცოდნით, ხეპრე ადამიანებზე შორს არ წასულან. ჩამოაცალეთ ბ-ნ ნარიძის ფელეტონს ცინიკური გულახდილობა და მამლაყინწური თავხედობა და ხელში შეგრჩებათ უბადრუკი გონების დემაგოგიური ნაცოდვილევი.

„ამ ნაირად ჩვენი ხალხის თვით--მოქმედების თვითეული ნაბიჯი იწვევს მტრულ განწყობილ ...ს ყველა ფერის ნაციონალისტებისაგან,—სწერს „.. არხიდემაგოგი.—ისინი ხალხის მოწინავე ნაწილებს ერეკებიან საზოგადო დაწესებულებებიდან, „მწერლობიდან, კულტურულ და აზროვნების ასპარეზიდან. ისინი ძალაუნებურად ურიგდებიან თითო ოროლა პირის ოპოზიციონერობას, მაგრამ ხალხის ოპოზიცია მათში მეხივით ვარდება და იწვევს დიდს პროტესტს. პეტრეს, ივანეს შეუძლიან დაიწყოს მათი მოღვაწეობა ხოლო ას-ორას პეტრესა და ივანეს ერთად ასეთი დაწყების გამოცხადება არ შეუძლიანთ. ისინი ამ შემთხვევაში შეუგნებელი ბრბოა, მათ ალბათ ვიღაც აბრიყვებს და „აბუნტებს", თვარა (რა ლამაზი ქართულია?) განა თავისი საკუთარი ტვინით რაძეს მოახერხებდნენ? აი ასე აზროვნობს ჩვენი „ძარი ი ქვეყნისა", „სახ. გაზ."„ „იმერეთის" „კლ დის" ბანაკიდან" ეს საძება შეერთდენ (ეს ნიმუში მშვენიერი ქართულისა!) „გაქსუებულ ძუშის" წინააღმდეგ, რომელმაც თავისი აზრის გამოთქმა გაბედა"...

რა არის ზემოდ მოყვანილი ადგილი, თუ არა დაბალი ღირსების დემაგოგია, რომელსაც თავის დღეში თავისი საკუთარი თავის პატივისმცემელი მწერალი არ იკადრებს? მიზანი ერთია: დააჯეროს ხალხი, რომ „სახალხო გაზეთი" ხალხის მტერია. მტრობა კი გამოიხატა იმაში, რომ დეგენერატს, ფიზიკურად და ფსიხიურად გადაგვარებულ ფ. მახარაძეს „სახალხო გაზეთმა" თავისი სახელი უწოდა. თუ ეს ნიშნავს ხალხის ღალატს, დაე ასე იყოს. ჩვენ შემდეგშიაც ვეცდებით ველურსა და ბარბაროსულ საქციელს თავისი სახელი ვუწოდოთ, ჩვენ შემდეგშიაც ბარბაროსად ჩავსთვლით ასეთს ადამიანს, რომელიც ილია ჭავჭავაძისთანა პირებ ს მოკვლის შემდეგ იტყვის: „რა ვუყოთ, რომ მოჰკლეს, სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტიცა სცვივაო". ვეცდებით სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ადამიანი, რომელიც გაჰბედავს და ილია ჭავჭავაძეს უწოდებს „ნაფოტს". ვეცდებით მით უფრო, თუ ამისი მთქმელი თითონ არის ნაფოტი და ილია ჭავჭავაძის ფეხის ფრჩხილადაც არა ღირს არც თავისი ჭკუით, არც თავისი შეგნებით, არც თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით და მით უფრო თავისი პირადი ღირსებებით. ვიტყვით ამას და ღრმადა გვწამს, რომ ჩვენს ნათქვამს დღეს თუ არა ხვალ მაინც შეგნებული ნაწილი მშრომელი ხალხისა შეიგნებს და ჩვენთან ერთად სამარცხვინო ბოძზე მიაკრავს იმათ, ვინც დიდებულ მოამაგეს ჯაშუში და გამყიდველი უწოდა და იმდენი თავხედობა კიდევ შერჩა, რომ ხმა არ ჩაიწყვიტა.

გვწამს, ღრმადა გვწამს, ესეთი დროც მალე დადგება.

⁂

გაზეთ „თემში" ბ-ნი გრ. დიასამიძე ფ. მახარაძეს ეკამათება და თან დასელთა ზოგიერთ ლიდერებს კომპლიმენტს უგზნება.

„არა, ბ. ფილიპე! ჩვეულებრივად თქვენ აქაც სცდებით. თვით თქვენს ჯგუფში მოიძებნებიან ისეთი პირები, რომელნიც თქვენზე წინად პრინციპიალურად ეკამათებოდნენ ილიას და უდიერად კი არ მოჰქცევიან მის პიროვნებას, გაიხსენეთ ნ. ჟ—იას, ს. ჯ—ძის და სხვ. ნაწერები".

ხომ არ დაავიწყდა ბ-ნ გრ. დიასამიძეს ვინ დაადარა ილია ჭავჭავაძე ნაფოტს? ან იქნება ბ-ნ დიასამიძეს ასეთი შედარება უდიერობად არ მიაჩნია?..

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დროებითმა სამხედრო სასამართლომ ხარკოვში ამ დღეებში განიხილა საქმე რვა ბრალდებულისა, რომელთაც ძარცვა-გლეჯის განზრახვით ბრბოს შედგენა ბრალდებოდათ. სასამართლომ პროცესის დასაწყისი ასეთი ინციდენტით აღინიშნა. სასამართლოს დარბაზში რვა ბრალდებულის მაგიერ ცხრა შემოიყვანეს. უკანასკნელი იმათგანი აღმოჩნდა გლეხი კოსენკო, რომელიც არც კი იყო შეტანილი ბრალდებულთა რიცხვში. გამოირკვა, რომ ზედმეტი „ბრალდებული" შეუპყრიათ ნახევარი წლის წინედ, როგორც მონაწილე. მაგრამ რადგანაც არავითარი საბრალმდებლო საბუთი არ აღმოაჩნდა, მის შესახებ საქმე მოსპეს. მაგრამ მისი განთავისუფლების განკარგულების მოხდენა დაავიწყდათ. ამის გამო უდანაშაულო ადამიანს ციხეში ნახევარი წლით ტყუილ-უბრალოდ ჯდომა მოუხდა. სასამართლომ, რასაკვირველია, მაშინვე გაანთავისუფლა „ზედმეტი".

„რუსკაია მოლვა" აღშფოთებით ეხება ამ საკითხს; უწოდებს მას „საოცარ ამბავს", და დასძენს:

„შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არც ერთ კულტურულ მხარეში ეხლა არ მოიპოვება კოსენკოების იმდენი რიცხვი, როგორც რუსეთში"-ო.

კურდღელი რუსეთის საზღვარზე გადადიოდა და უცხოელ კურდღელს შეეხეჩა:

— სად გარბიხარ?

— საზღვარ გარედ! რუსეთში განკარგულება გამოსცეს, ყველა აქლემები დასჭედონ!

— კაცო! მერე შენ რაღამ შეგაშინა, შენ ხომ აქლემი არა ხარ?

— დაგიჭერენ, ფეხებს დაგიჭედენ და შემდეგ რამდენიც გინდა იყვირე, კურდღელი ვარ და არა აქლემიო!"

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სკოლის იუბილე.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამას წინად კომისია აირჩია და დაავალა, წინამძღვარიანთ-კარის სკოლის 30 წლის არსებობის იუბილეს პროგრამა შეედგინა. კომისიას უკვე რამდენიმე კრება ჰქონდა და ამ საგნის შესახებ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს 15 აგვისტოს კრებაზე საგანგებო მოხსენებას წარუდგენს. კომისიას დაუდგენია: იუბილე გადახდილ იქნეს 25 სექტემბერს—თვით სკოლაში, ხოლო 26 სექტემბერს ტფილისში. 25 სექტემბრის დღესასწაულის პროგრამა უკვე შედგენილია: დღესასწაულის დაწყებისას წაკითხულ იქნება ეგ. იოსელიანის მიერ შედგენილი ისტორიული მიმოხილვა სკოლის დაარსების შესახებ, მოჰყვება წარმოდგენა, გუნდის სიმღერა და მილოცვები, რომელზედაც უპასუხებს სკოლის დამაარსებელი ი. ი. წინამძღვრიშვილი. ამავ დღეს იუბილეზე დამსწრენი დაწვრილებით დაათვალიერებენ სკოლის მეურნეობას. საიუბილეო კომისია აგრეთვე საჭიროდ სცნობს, წინადადება მისცეს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, შეადგინოს ერთი დიდი საიუბილეო კომიტეტი იუბილეს დაწვრილებითის და საბოლოო პროგრამის შესადგენად კომიტეტში უნდა შევიდნენ წარმომადგენელნი: თავად-აზნაურობისა, ქართულ დრამატიულ, წერა-კითხვისა, ფილარმონიულისა და სხვა ქართულ საზოგადოებისა და დაწესებულებებისა.

◆ **თავ დაცემა შუამთის მონასტერზე.** ტფილისში ხმა გავრცელდა, შუამთის მონასტერს (თელავის მაზრა) ყაჩაღები თავს დასცემიან და ბერები ამოუწყვეტიათო. თავდაცემა მართალი გამოდგა. გუშინ საქართველოს საექსარხოსოს დროებით მმართველმა ეპისკოპოსმა პიმენმა შუამთის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნესტორისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „პარასკევს, 9 აგვისტოს, ღამით, ყაჩაღებმა მონასტერში მოჰკლეს ბერმონაზონი გრიგოლი, რომელიც გამოგზავნილი იყო ადგილობრივ მეთვალყურეობის ქვეშ". ასეთისავე შინაარსის დეპეშა ეპისკოპოსმა თელავის მაზრის უფროსისაგანაც მიიღო. ეპისკოპოსმა პიმენმა არქიმანდრიტს ნესტორს დეპეშით შეუთვალა, გამოუგზავნოს დაწვრილებითი ცნობები.

◆ **ბიბლიოთეკა.** გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას, დააარსოს სიღნაღის მაზრის სოფელ ჯუგაანში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო იქაურ მღვდლის ი. შანშიაშვილის პასუხისმგებლობით.

◆ **ვერის პარკში.** ქალაქის გამგეობის წევრმა თ-დმა ნ. ი. არღუთინსკი დოლგორუკოვმა, ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიის თავმჯდომარემ მ. ი. სვეშნიკოვმა და ინჟინერ-ტეხნიკოსებმა: ტერ-ოგანოვმა, დიასამიძემ, ლისიციანმა, ჩისლიევმა, მირველოვმა, ვაწაძემ და ნალბანდიანმა 10 აგვისტოს ვერის პარკში ორი აუზი დაათვალიერეს, რომელიც გაკეთებულ იქნა ქალაქის ინჟენრად ნამყოფ ი. ი. კოგნოვიცკის ხელმძღვანელობით და რომელიც ქალაქს 15,000 მანეთამდე დაუჯდა. ამ კომისიამ აღიარა, რომ აუზები ყოვლად უვარგისია და ამ ჟამად ის შმორისა და სიმყრალის ბუდედ გადაქცეულა, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ფრიად საზარალოა. კომისიამ დაადგინა, აუზები ამოავსოს მიწით და იმის მაგივრად გააკეთოს შადრევნები, რომელსაც გარშემო ყვავილნარები ექნება. როგორც ხმები დადის, ქალაქის გამგეობა ინჟენერს კოგნოვიცკის, რომელიც საქალაქო სამსახურიდან გავიდა, ზარალს უჩივლებს.

◆ **შიოევისეული სახლი.** დღეს კრება ექნება „კრუჟოკ"-ის მამასახლისთა საბჭოს, რომელსაც აზრად აქვს, აირჩიოს დეპუტაცია და დაავალოს, იშუამდგომლოს მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელის გენერალ ნ. პ. შატილოვის წინაშე, რათა ძალა არ დაატანოს ქალაქს და შიოევისეული შენობა არ დაანგრევინოს. შუამდგომლობას იმით ასაბუთებენ, რომ სატეხნიკო სათათბირო, რომელმაც საჭიროდ სცნო შენობის დანგრევა, იმის განხილვაში არ შესულა, რამდენად აკმაყოფილებს შენობა ტეხნიკის მოთხოვნილებას და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, შენობა „კრუჟოკ"-ისათვის შესაფერი არ არისო, მაგალითად დარბაზი ბნელიაო და სხვა.

◆ **მშრომელთა არტელი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მოსამსახურემ ს. სემიანიშინმა მიიღო სამინისტროს მიერ ახლად დამტკიცებული წესდება მშრომელთა არტელის „ვარიაგ"-ისა, რომლის მიზანიც იქნება შეასრულოს რკინის გზათა საქონლის სადგურებზე ყოველგვარი სამუშაო და მეორეს მხრივ სრულიად მოსპოს რკინის გზებზე საქონლის დაკარგვის შესაძლებლობა.

◆ **ველიამინოვის ქუჩის მოსაკირწყლავად** მოიჯარადრე მირზოევმა ტფილისში დიდძალი ქვა ჩამოიტანა, რომლის თვისებასაც ქალაქის გამგეობა 20 აგვისტოს შეამოწმებს. ამ ქვით უნდა მოიკირწყლოს 1,000 ოთხკუთხი საჟენი ადგილი.

◆ **დაკარგული ბავშვი.** 3 თვის წინად კოჯორში უკვალოდ დაიკარგა გლეხის შვილი 10 წლის ბიჭი—ლადო ცხოვრებაშვილი, ტანჩასხმული, წაბლისფერ თმიანი და წაბლისფერ თვალებიანი. ბავშვი (ცოტათი ჭკუა ნაკლები არის. მშობლებმა უცოდინარობისა და გამოუცდელობისა გამო თავის დროზე ვერ გამოაცხადეს გაზეთებში. ახლა კი მიმართავენ მკითხველთ უმორჩილესის თხოვნით, რომ თუ სადმე გადაეყარნონ, ან მიაგნონ ბავშვის კვალს შეატყობინონ ილია ნაკაშიძეს საყმწ. ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში გოლოვინის პროსპექტი, სახ. 8.

◆ **საბავშვო დღესასწაული.** 11 აგვისტოს ახალმა კლუბმა თავის ბაღში საბავშვო საღამო გამართა, რომელსაც დიდ-ძალი ბავშვი დაესწრო. დღესასწაული დაიწყო ნაშუადღევის 5 საათიდან და საღამოს 9 საათამდე გასტანა. გაიმართა საბავშვო წარმოდგენა, სინემატოგრაფი და სხვა და სხვა საბავშვო გასართობი. ბავშვები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ.

◆ **საბირჟო ცნობები.** 12 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან. 25 კ., აძლევდნენ—84 მან. 40 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა:
აფასებდნენ—82 მან. 50 [illegible] ძლე-
დნენ—82 მან. 65 კ. და ქუთაისის
თავად-აზნაურო საადგილ-მამუ
ბანკის 5% გირავნობის ფურცლე
სა: აფასებდნენ—80 მან., აძლე
ნენ—79 მან. 25 კაპ. სახე
მწიფო მომგებიან ბილეთების საკუ
სო ნორმა შემდეგი იყო: პირვ
ელის ბილეთებისა—485 მ., მეორ
—355 მან., და მესამისა—314 მან.

◆ **საზოოლოგიო გამოკვლევ
თა მოსახდენად** 11 აგვისტოს ტ
ლისიდან აფხაზეთს გაემგზავრა ზო
ლოგიის უფროსი სპეციალისტი
ა. სატუნინი.

საზოგადოებანი და კრებე

◆ **ქალაქის საბჭოს საგანგე
კრების მოწვევა** ამ დღეებშია გ
ზრახული. განსახილველია საკით
როგორ მოუარონ შიოევისე
სახლს, რომლის დანგრევასაც თ
ულობს მეფის მოადგილის სამმართ
ლოს სატეხნიკო საბჭო. ამ საკით
გამო ქალაქის გამგეობას ერთი კ
ბა კიდეც ჰქონდა და იმ დასკვნა
მივიდა, რომ საჭიროა შენობა ს
დაინგრეს და იმის მაგივრად აშ
დეს 4-5 სართულიანი სახლი, რ
მელსაც ბინებად გააქირავებს
რომელიც ქალაქს კარგს შემოსავა
მისცემს. თუ საკითხი საბოლო
ასე გადაწყდა, მაშინ „კრუჟოკ"-ი უ
ნობოდ დარჩება და ვერც არას გა
ახდევინებს ქალაქს ზარალისთ
რადგანაც „კრუჟოკ"-სა და ქალ
შორის დადებულ ახალ ხელშეკრ
ლობაზე ჯერ არც ერთს მხარეს
აქვს ხელი მოწერილი. საბჭოს
განგებო კრების მოწვევის საკი
საბოლოოდ გადასწყდება მაშინ, რ
დესაც ტფილისს დაბრუნდება ქა
ქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, რ
მელსაც დღეს მოელიან.

◆ **სამელიორაციო კრების** მომწ
კომიტეტის პირველი კრება, რომ
ლიც 13 აგვისტოსთვის იყო და
შნული, 14 აგვისტოსთვის გადაიდ

◆ **ქართულ სასოფლო-სამეუ
ნეო საზოგადოების** საბჭოს მოთ
კრება დანიშნულია ხუთშაბათს,
აგვისტოსთვის, საღამოს 8 საათ
განსახილველია: 1) მოხსენება საგ
გებო კომისიისა (ვ. ი. რცხილა
და პ. გ. მელია), რომელმაც ამ დღ
ებში ქართლის რაიონის აგრონომ
ნამუშავარი დაათვალიერა, 2) გ
ხილვა იმ პრაქტიკულ წინადადებ
ბისა, რომელიც გამოიწვია კახეთ
რაიონის აგრონომის ნამუშავარ
დათვალიერებამ და 4) მიმდინა
საქმეები.

სასამართლ

◆ **ტფ. სამოსამართლო პალა
სესია,** რომელიც განჯა-ბაქოს
იყო წასული სისხლის სამართლ
საქმეთა განსახილველად, გუშ
დილით, ტფილისს დაბრუნდა.

ეკონომისტი— არჩილ ჯორჯაძე

4 *)

ბურჟუაზიულ ეკონომისტებისათვის კაპიტალისტური წყობილება ბუნებრივი და საუკეთესო ფორმაა ცხოვრებისა. ადამ სმიტისა თუ დავით რიკარდოს სკოლა კაპიტალიზმს ბედნიერებადა სთვლის. არჩ. ჯორჯაძე კი ერთნაირად უარჰყოფს ასეთ აზრს.

შემდეგ, სისმონდიდან დაწყებული თვით კარლ მარქსამდე კაპიტალიზმმა თავისი ნამდვილი სახე ევროპაში აშკარად ჰყო. ინგლისში მან ძველი ცხოვრება სრულიად შესცვალა და ხალხის დიდ უმრავლესობის ზურგზე წამოასკუპა პაწია ჯგუფი კაპიტალისტებისა. ფრიდრიხ ენგელსმა თავის კლასიკურ ნაშრომით „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში" აშკარად დაგვანახვა, თუ რა საშინელ ტენდენციების მატარებელია კაპიტალიზმი, თუ რა რიგად ავლებს მუსრს და ჟლეტავს იგი ხალხსა. ხოლო ფრანგ სოციალისტების და გერმანიის მარქსისტების გამოკვლევებმა გასულ საუკუნის შუაგულში კიდევ უფრო გააღრმავა და გააშუქა ენგელსის მიერ შექმნილი ცხოვრების ფერები. დავინახეთ, რომ ევროპის ბედს საქართველოც სათანადოდ გაიზიარებდა და აი ამ გარემოებას არჩილ ჯორჯაძე მკაფიოდ გამოხატავს: „ეკონომიურის მხრივ—ამბობს არჩილი—ჩვენი მწარმოებელი და მიწის მფლობელიც ემორჩილება მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების ტაროსის ცვლას. ჩვენც ზღვ-ს და მთებს იქითა გვაქვს მიპყრობილი თვალები, **ჩვენც მოგველის ის ხვედრი, რაც სხვას არგუნა ცხოვრების ჩარხის განუწყვეტელმა ბრუნვამ.** ვაჭრობამ და მრეწველობამ თავისი ელფერი დაადო არამც თუ ქალაქის ცხოვრებას, სოფლისასაც. სოფლის კეთილ-დღეობა და სვე-ბედი მსოფლიო ბაზარს დაემორჩილა"[1] (კურსივი ჩვენია. ო. ლ.)

მაგრამ კონკრეტიულად, ევროპის—და მაშასადამე ჩვენიც—კაპიტალისტურ ცხოვრების პროცესსი რა რიგად ვითარდება? ამ შემთხვევაში რა განსხვავებაა ჯორჯაძესა და ჩვენს მარქსისტებს შორის?

მარქსის კონცეპტიით ხალხის გაფუცქვნა კაპიტალის საშუალებით წარმოუდგენელ სისწრაფით სწარმოებს, უმრავლესობის საშუალებანი გროვდება უმცირესობის ხელში, რომლითაც წარმოების ყოველ დარგში გამარჯვების დროშას აფრიალებს მსხვილი კაპიტალი. ამ პროცესში მსხვილი წარმოება წვრილს ანადგურებს რითაც ხალხსა და ხალხის ნაღფლარის მიმთვისებელთა რიცხვის განსხვავება უკიდურესს წერტილს აღწევს; ამრიგად საზოგადოება იყოფა შეურიგებელ კლასებად, რომელთაც ინტერესების სხვა და სხვაობაც ჰბადებს მათ შორის კლასობრივ ბრძოლას, რომლის პროცესში პროლეტარიატი ვერაფერს ჰკარგავს—რადგანაც დასაკარგი არა აქვს-რა, ხოლო ბურჟუაზია მარცხდება და ამ წესით დგება ხანა სოციალური წყობილებისა.

კაპიტალიზმის ასეთ მსვლელობას ჯორჯაძე ცხოვრებაში ვერ ჰხედავს. ის ამბობს, რომ კაპიტალის კონცენტრაცია ამრიგად არ ხდება. ის ეკამათება მარქსისტებს და ამბობს: „თქვენ ბრძანებთ, დიდი კაპიტალი ამ ჟამად გაბატონებულიაო. **დიაღ, დიდი კაპიტალი გაბატონებულია, მხოლოდ ამასთან ერთად, საშუალო, პატარა და წვრილი კაპიტალიც იდგამს ფესვებს ამ ვე ცხოვრებაში.** თქვენ ამბობთ, მომავალი—კაპიტალის კონცენტრაციააო, გიპასუხებთ—მომავალი კაპიტალის დეცენტრალიზაციააა".[2] ამ დებულების გასამართლებლად არჩილ ჯორჯაძე მიმართავს სტატისტიკას და ევროპის—საქართველოს ნამდვილ ცხოვრებიდან გვიმტკიცებს თავის დებულებას. მაგრამ ამ როლში ჯორჯაძე სრულიად არ მოსწონთ დასელებს. შეხედეთ, ჯორჯაძე წვრილ წარმოების სიცოცხლეს ამტკიცებს, ხალხი არ ბოგანოვდება, მაშ კლასობრივი განხეთქილება არ ღრმავდება, ცხადია, ჯორჯაძისათვის მეცნიერული (მარქსისტული) სოციალიზმი ცუდლუტობააო. მაგრამ ასეთი მსჯელობა მოუმწიფებელ გონების და მიუდგომილობის კლასიკური მაგალითი იქნება. მოითმინეთ, დააკვირდით თვით არჩ. ჯორჯაძის აზრთა მსვლელობას. მეორე ალაგას ის ცდილობს უფრო გასაგებად გამოსთქვას თავისი გულის ნადები და ამბობს: „ყველა ეს ცნობები იმის დასამტკიცებლად კი არ მოგვყავს, ვითომ წვრილ მრეწველობას და წვრილ მესაკუთრეებს აქვთ დაჭერილი ბურთი და მოედანი თანამედროვე ეკონომიურ სარბიელზე. ამას არც ვამტკიცებთ და არც ვამტკიცებდით. ჩვენ ვიცით, რომ დიდ კაპიტალს საპატიო ადგილი უჭირავს ეკონომიურ ცხოვრებაში, ვიცით, რომ **ზოგიერთ დარგში** ამ დიდმა კაპიტალმა შთანთქა წვრილი კაპიტალი და წვრილი წარმოება, მხოლოდ ვიცით აგრეთვე, რომ სხვა და სხვა ეკონომიურ პირობათა ზედგავლენით, დიდ კაპიტალის თავხედობას საზღვარი გამოუჩნდა, რომ რთულმა ხასიათმა ეკონომიურის ცხოვრებისამ დაჰბადა და გამოჩეკა ის, რასაც სიკვდილი ლა მოელოდა—წვრილი წარმოება—და რომ ამ წვრილ წარმოებას გადაგვარება კი არ მოელის, პირიქით წელ ში გამაგრება".[3] ეს საკმაო ამონაწერი ნათლად გვიხასიათებს ჯორჯაძის შეხედულებას კაპიტალიზმის პროცესზე და უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შეხედულებაზე ორივე ხელით თანხმობას განაცხადებდნენ ისეთი ჰეტეროდოქსალური მარქსისტები, როგორიც არიან მაგ. ბერნშტეინი, ზომბარტი, ჟორესი ან თვით კაუტსკი, თუ ამ უკანასკნელის წინასიტყვაობებს კრიტიკულად განვიხილავთ. მაგრამ ამონაწერი სრულებით არ უარყოფს სოციალიზმს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არჩილ ჯორჯაძე კრიტიკულად მიაზრეა, ცალმხრივობის მტერი. მარქსისტები სოციალიზმს მხოლოდ ეკონომიკით ხსნიან, ჯორჯაძე კი ეკონომიკითაც და შეგნებითაც. ასე მაგ. არსებულ ეკონომიურ განხეთქილებას ის ორი ფაქტორით ხსნის „საზოგადოების შეგნებულ და უსახსრო წოდებათ დაყოფით და უსახსრო წოდებათა მიერ ბრძოლის საჭიროების **შეგნებით**"[4]. სწორედ აგრე ობიექტიურია სოციალიზმის აღსარებაშიც. სოციალიზმის აუცილებლობას ის ორი ფაქტორით ამტკიცებს: ცხოვრების მსვლელობით და უსახსრო წოდების შეგნებით. ჯორჯაძე ამბობს: „თუ ევოლიუციის ძალით დღეს წოდებათა გაუქმებამდე მივედით, იმავე ევოლიუციის ძალით, მომავალში უნდა მივიდეთ ეკონომიურ უთანხმოების მოსპობამდე"[5] ე. ი. სოციალიზმის დამყარებამდე, რაიცა აღსრულებული იქნება ხალხში კლასობრივ ინტერესის გაღვივებით, რისთვისაც „დაბეჯითებით უნდა **შევიგნოთ** ნამდვილი ხასიათი ეკონომიური ცხოვრებისა".

ცხოვრების ყოველ-მხრივად შესწავლამ ჯორჯაძე დაარწმუნა და გახადა ნამდვილი სოციალისტი. სოციალისტურ მომავალს ის ჩვენი ცხოვრების ყოველ ჯგუფს უყენებს წინა. ბურჟუაზიულ პარტიას ეუბნება: „ჩვენმა ბურჟუაზიულ-ეროვნულმა ჯგუფმა სახეში უნდა იქონიოს ის გარემოება, რომ საქართველო, ადრე თუ გვიან, ვერ ასცდება კაპიტალისტურ პროცესს და აგრეთვე ამ პროცესსის შედეგს, ე. ი. შრომის გასაზოგადოებრივობას და მათ შრომის და კაპიტალის შორის წინააღმდეგობის მოსპობას"[6], ხოლო სოციალიზმის დაფუძნება ჯორჯაძისათვის ნიშნავს საერთო კეთილდღეობას. არჩილი ამბობს: „საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალ საზოგადოების დაფუძნებას, იმ გვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა **შრომაზედ** იქნება დამყარებული"[7]. როგორც შეგნებული და ქედუხრელი სოციალისტი მას შეუძლებლად მიაჩნია სახალხო საქმეს გულწრფელად არა-სოციალისტი ემსახუროს. რუსულ პრესის ქართველ ძალებს ჯორჯაძე უსაყვედურებს: „თქვენ ამბობთ, რომ კავკასიის ერთა სოლიდარობას ვემსახურებითო. არ ვიცი, შეიძლება მართლა გქონდეთ ეს განზრახვა, ხოლო ამ სოლიდარობას თქვენ არ ემსახურებით და ვერც ემსახურებით, **რადგან სოციალიზმი არ გწამთ, სოციალიზმს დასცინით**"[8]. მისი ნაწერების პირველ კრებულიდან შეგვეძლო მრავალი მასალები აგვემეტყველებინა, რომელნიც აშკარად მოწმობენ არჩ. ჯორჯაძის სოციალისტობას, მაგრამ კმარა აღნუსხულ-განმარტებულიც.

მაგრამ აქ საჭიროა დაუბრუნდეთ საკითხის მეორე მხარეს. ყველას გვახსოვს ამასწინად „დილა"-ში გამომცხვარი წერილები (პრესსა) იმის დასამტკიცებლად, რომ არჩილ ჯორჯაძე ნამდვილი ბურჟუაზიული ეკონომისტია. დიახ, მართლა რომ საჭიროა ეს გავრცელებული ყალ
შეხედულება ჯორჯაძეზე საბოლ
მოვსპოთ.

თვით არჩილი ხშირად ამბობ
„საზოგადოებრივ მწერლის დაფას
თუ გინდათ, გამოიკვლიეთ, რა თ
ლით, როგორ უყურებს ის კერძ
საკუთრების პრინციპს"[9] ჩვენი ს
ტიის მეორე და მესამე თავი ჩვ
გვიაშკარავებს, რომ ცხოვრე
სხვა და სხვა ეპოქის დაფასებაში
მუდამ შრომის ინტერესებიდან
მოდიოდა. ბატონ-ყმობაში ის ი
ვდა ყმის ინტერესს, კაპიტალიზმ
იცავს პროლეტარიატს, მაგრამ ჩვ
დასელებს ესეც ვერ აკმაყოფილე
ვერ აკმაყოფილებს იმიტომ, რ
ჯორჯაძე ამბობდა: ჩვენ მხარი უნ
მივსცეთ ფულიან ხალხის გამრავლ
ბას საქართველოში, ჩვენ მფარვ
ლობა უნდა გაუწიოთ ვაჭრობ
მრეწველობის განვითარებასო. და
სწორედ რომ ამ გარამოების აღ
რებაა უაღრესად მიზეზი, რომ ჯორ
ჯაძის სოციალისტურ მრწამსიდ
აღარა დასტოვეს რა და გულით
სულით სოციალისტს ჩააცვეს ბუ
ჟუაზიის სუდარა. მაგრამ ვნახო
რაშია საქმე, დავაკვირდეთ არჩილ
აზროვნობას.

„დილა"-ს ხალხი, დასელები, კა
ტალიზმზე მსჯელობის დროს მხ
დველობაში მხოლოდ ეკონ
მიას ჰგულისხმობენ და უმ
ვრესად კაპიტალიზმის კლასიკ
ქვეყნებს, სადაც კაპიტალიზმი თა
სუფლად ვითარდება. საქართველ
კი ამ მხრით სრულიად სხვა გვ
სურათს გვიშლის. არჩ. ჯორჯა
ამბობს: „საფრანგეთის კაპიტალ
სტთა და მუშათა შორის განხეთქ
ლება მაშინ მოისპობა, როდ
საც შრომის და კაპიტალის წინ
აღმდეგობა გაჰქრება. ინგლის
ლენდ-ლორ ებს, ფერმერებსა
სოფლის მუშათა შორის თანხმობ

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 966

[1] არჩ. ჯორჯაძე ტ. 4, გვ. 170—171.

[2] ibid, გვ. 106—107, შეუნიშნავი კურსივი ჩვენი იქნება.

[3] ტ. 4. გვ. 112.

[4] ibid, გვ. 16.

[5] ibid, გვ. 203.

[6] ibid, გვ. 2.

[7] ტ. 11, გვ. 132 კურსივი ჯორჯაძისაა.

[8] ibid, გვ. 219—220.

[9] ტ. II. გვ. 124:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებლებში

◆ **ტფ. სასულიერო სასწავლებელში** ამ ჟამად თავისუფალია ეკონომის ადგილი.

◆ **ტფ. საბალოსნო სასწავლებელში** ამ ჟამად სულ 80 მოსწავლეა. ბოლო (მესამე) კლასშია ათი მოსწავლე. ეგზამენები უკანასკნელ კლასის მოწაფეებს 20 სექტემბრისთვის გაუთავდებათ, რომლის შემდეგაც ეს მოსწავლენი სკოლის გამგის ჰ. გ. მელიას ხელმძღვანელობით საექსკურსიოდ ყირიმისაკენ გაემგზავრებიან.

◆ **ოსური სკოლა.** 1 სექტემბრიდან ქალაქის თვით-მმართველობა ოსურს პირველ-დაწყებით სკოლას ჰხსნის ნაძალადევში. სკოლა მოთავსებული იქნება სუნჟენსკი ქუჩაზე, ალექსანდრე ქობულაშვილის სახლში (№ 8). მსურველებმა ამ ადრესით უნდა მიმართონ.

მცხეთა

◆ **მკვლელობა.** 11 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, საღგურის პირდაპირ მდებარე დუქანში სოფლის ყარაულმა მ. შიუკაშვილმა თოფით მოჰკლა გლეხი გოგია ბენიაშვილი.

დუშეთი

◆ 15 აგვისტოს სამების მთაზე (დუშეთის მაზრაში) ოქროს კარიანად წოდებულის ეკლესიის დღესასწაულში წმ. მარიამობას, თავად ნიკოლოზ დავითის ძის ერისთავის მეთაურობით, გაიმართება ჩვეულებრივი ხალხური დღეობა. ამ დღეობაში მონაწილეობას იღებენ განურჩევლად ეროვნებისა ყველა მახლობელ კუთხეების წარმომადგენელნი: ახალგორელები, დუშელები, ანანურლები და სხვანი. 14 აგვისტოს გაიმართება ღამის თევა და 15-ს კი დილიდან დაიწყება თვით დღესასწაული: 1) ყოველივე კუთხის წარმომადგენელნი თავიანთ ბაირაღებით გადაიხდიან პარაკლისს ეკლესიის გალავანში. 2) პარაკლისის შემდეგ ყველა წარმომადგენელნი დაბრუნდებიან თავიანთ ბინებზე, მოულოცავენ ერთმანეთს დღესასწაულს და გამართავენ ლხინსა და ლეკურს. 3) შემდეგ გაიმართება საუკეთესო ფალავანდთა ჭიდაობა. 4) და ბოლოს ჯირითი, რომლის მოსამართლენი დაურიგებენ საჩუქრებს, 5) მევარდენთა ვარჯიშობა (გიმნასტიკა) და სინემატოგრაფი აჩვენებს სხვა და სხვა სურათებს. მოსამართლეებად მოწვეულ იქნებიან: თითო წარმომადგენელი „თემის“, „სახალხო გაზეთის“ და „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქციებიდან, ორი ტფილისიდან ჩამოსული და ორიც ადგილობრივ არჩეული პირი.

საჩუქრები მიეცემათ: პირველი საჩუქარი—**ვერცხლის ყანწი** წარწერით მიეცემა სამ **ჯგუფში** (ანანურელები, ახალგორელები და დუშელები) იმ ჯგუფს, რომელიც თავის ჩაცმულობით, მოწყობილობით, წესრიგით სიდარბაისლით და მამაცობით ცნობილი იქნება საუკეთესოდ. მეორე საჩუქარი—ზემოხსენებულ **ჯგუფებიდან** საუკეთესო მოლეკურეთ პირველს—ოქროს საათი, მეორეს—ვერცხლისა. მესამე საჩუქარი—საუკეთესო მოჯირითეს თითეულ **ჯგუფიდან** თითო ჯილდო—ვერცხლის ნიშანი, (ჟეტონი) წარწერით. მეოთხე -აგრეთვე სამი ჯილდო საუკეთესო მოჭიდავეს დამსწრე ხალხიდან 1—15 მან., 2—10 მ. და 3—5 მ. დაჯილდოვებულთა სია გაზეთებში იქნება შემდეგ გამოცხადებული.

ჟურნალისტის დღიური

142.

ავლაბრის კულტურტრეგერები.

ცუდი მაგალითი გადამდები სენიაო, ამბობენ გამოცდილები, ალბად ჩვენი „დიდი“ საზოგადოების სენით გაჰხდა ავად ავლაბრის **ქართული** წარმოდგენების მმართველი წრე. „დიდი“ საზოგადოების კრებებზე მიღებულია რუსულად ლაპარაკი, რუსულად წერა, რუსულად გამორკვევა რთული საკითხებისა. თუ პატარ-პატარა საქმეებზეა ლაპარაკი, ან რაიმე „პრინციპიალური“ საკითხი ირკვევა, მაშინ კიდევ ცოტაოდენ თავისუფლებას აძლევენ თავიანთ თავს ჩვენი საზოგადოების ოქროსპირები, მაგრამ „საქმიან“ საკითხებზე მსჯელობა კი სრულიად ვერ ეხერხებათ ქართულად. არც საჭიროა. სად რთული ფინანსიური და სხვა ამ გვარი საკითხები და სად ქართული? რუსულად მსჯელობა რთული საკითხების შესახებ „კარგ სტილად“ არის მიჩნეული. ასეთი ფსიხოლოგია ისე მაგრად არის გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ ხშირად გარეშე მსმენელიც „სიბრძნეს“ მხოლოდ იმის სიტყვებში ჰხედავს, ვინც რუსულად გამოსთქვამს თავის აზრებს.

ალბად ასეთი მისტიური პატივისცემით არიან განმსჭვალული ავლაბრის კულტურტრეგერებიც. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ ავლაბრის ქართული წარმოდგენების მმართველ წრეში ბევრს არა სცოდნია რუსული და ამიტომ ქართულად ულაპარაკიათ. მაგრამ თავმჯდომარე „განათლებული“ აღმოჩენილა და თავისი დამტვრეული რუსულით მშვენიერად, უხელმძღვანელია კრებისთვის. ოქმებიც რუსულად უწარმოებიათ, თუმცა ეს რუსული ისეთი თვისებისა ყოფილა, რომ სჯობს არც კი ვახსენოთ. საინტერესოა ვკითხოთ ავლაბრის განმანათლებლებს: ვინ ატანს ძალას, ვინ არტყამს კისერში, უსათუოდ აწამეთ, ჯვარს აცვით რუსული ენაო? რა გარემოება აიძულებს **ქართული** წარმოდგენების მეთაურებს ოქმები სწერონ რუსულად, და ისიც უხეიროდ? ნუ თუ ერთხელ მაინც არ ჩაფიქრებულან, ერთხელ მაინც არ მოჰგონებიათ, რომ ქართული წარმოდგენების წრისთვის არავითარ საჭიროებას არ შეადგენს რუსულად ოქმის წარმოება? ან იქნება ესეც ინტერნაციონალისტობაა? ან იქნება ქართულად ოქმების წარმოებაც ნაციონალისტობად მიაჩნიათ? ვინ იცის? ერთ სოფელში ახალგაზდა კაცი გავიცანი. ოთხი შვილი ჰყავდა: ორი ვაჟი და ორი ქალი. შვილები რომ გამაცნო, სახელებიც მითხრა: ვანიუშა, გიგუშა, ეთერი, ნათელაო. ცოტა არ იყოს გამიკვირდა. როგორ მოჰხდა, რომ პირველ ორს ასეთი მახინჯი სახელი დაარქვი და ორს უკანასკნელს კი ქართული-მეთქი. პირველი ორი რომ გამიჩნდა, ეროვნულ საკითხს გულგრილად ვექცეოდი და არც ვაძლევდი დიდს მნიშვნელობას ასეთს წვრილმანებს, და ეხლა კი ქართულ საქმეებს სულ სხვანაირად ვუცქერიო.

საინტერესოა ვიცოდეთ, ამნაირი რამ მიზეზი ხომ არ აიძულებს ავლაბრელ განმანათლებლებს ქართული წრის საქმეები რუსულად აწარმოვონ?

შინაური.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში

წრის წევრთა წლიური კრება 4 აგვისტოს დაიწყო თ. კაკელიძის თავმჯდომარეობით. ამ დღეს კრებამ მოისმინა წრის საფინანსო ანგარიში (1912 წლის 29 ივლისიდან 1913 წლის 29 ივლისამდე) განხილვა და დანარჩენი საკითხები 11 აგვისტოსთვის გადასდო. საანგარიშო წელს წრეს შემოსავალი ჰქონია 2,923 მან. 33 კ., დანახარჯი ამდენივე.

11 აგვისტოს კრების გაგრძელება დაიწყო დილის 11 ნახევარ საათზე მურაშკოსულ თეატრში თ. კაკელიძის თავმჯდომარეობით.

მორიგ საკითხთა განხილვამდე წევრნი თხოულობენ წარსულ კრების ოქმის წაკითხვას. აღმოჩნდება, რომ ოქმი არ არის შედგენილი. არის მხოლოდ შავად დაწერილი, ისიც რუსულად. ოქმის რუსულად დაწერა წევრთა შორის არავითარ გაკვირვებას არ იწვევს მით უფრო, რომ თავმჯდომარეც დასძენს, რუსულად არის თუ ქართულად დაწერილი, ეს სულ ერთიაო.

კრება სთხოვს მდივანს (ბ. გიგაურს) წაიკითხოს შავად დაწერილი ოქმი. მდივანი კითხულობს ოქმს და კრება ისმენს „სუფთა“ რუსულ ენას. ოქმი, სხვათა შორის, ამბობს: კრებამ განიხილა წრის საფინანსო ანგარიში, ზოგიერთი მისი მუხლი გაუგებრად შედგენილი აღმოჩნდა და დაავალა სარევიზიო კომისიას, საქმის გარემოება გამოარკვიოს და 11 აგვისტოს კრებას წარმოუდგინოს საქმის ნათელი სურათი.

თავმჯდომარე. პროტესტს აცხადებს (რუსულად) ამის მსგავსი დადგენილება არა ყოფილა-რა. ასეთი წინადადება კი იყო, მაგრამ კრებამ უარჰყო.

ზოგიერთი წევრი ადასტურებს, სწორედ ასე დაადგინა კრებამაო.

ბოლოს ირკვევა, რომ კრებას 14 ხმით წინააღმდეგ ექვსისა ანგარიში უცვლელად დაუმტკიცებია, მაგრამ მდივანს ოქმში ეს დადგენილება არ შეუტანია, რადგან პირადად თითონ ასეთი დადგენილების წინააღმდეგი ყოფილა.

კრება მდივანს სცვლის და მის მაგივრად ირჩევს დ. ხარტიშვილს, რომელიც კრების ოქმის დაწერას ქართულად იწყებს.

კრებას დიდს დროს ართმევს ინციდენტი სცენის მოყვარის მოსო ჯანველოვისა, რომელსაც შუა სეზონში სცენაზე მუშაობისათვის თავი დაუნებებია.

ეს ინციდენტი დასრულდა იმით, რომ მოსო ჯანველოვს ხმა დაუბრუნეს.

კრება სწყდება რამდენიმე წამით და თავმჯდომარეს ავალებენ, კრების განახლებამდე მოკლედ მაინც შეადგინოს 4 აგვისტოს კრების ოქმი.

კრების განახლებისას თავმჯდომარე თ. კაკელიძე კითხულობს ოქმს, რომელიც რუსულად დაუწერია და დასძენს, ქართულად შემდეგ გადავთარგმნითო.

შემდეგ იწყება გამგეობის მოქმედების „განხილვა“ ფირუმოვის სიტყვიერ განცხადებით. საქმის ვითარება ასეთია: ფირუმოვი არჩეული ყოფილა გამგეობის წევრის კანდიდატად: წევრის ადგილი დაცლილა და გამგეობასაც ფირუმოვი მოუწვევია. ფირუმოვს წერილობით უარი უთქვამს გამგეობის წევრობაზე და შემოუთვლია, მიზეზს საზოგადო კრებას მოვახსენებო.

და აი ფირუმოვმაც ვრცლად მოუთხრო კრებას ეს „მიზეზი“. ილაპარაკეს გამგეობისა და კრების წევრებმაც. გამოირკვა შემდეგი: გამგეობას წრის ნივთიერ ღონის-ძიებათა გასაძლიერებლად საანგარიშო წელს სეირნობის გამართვა სდომებია. გამგეობაში მისულა ფირუმოვი (მაშინ გამგეობის წევრის კანდიდატად ყოფილა) და ურჩევია, სეირნობის გამართვა ვინმე აბგაროვისთვის მიენდო. გამგეობას აბგაროვის პირობები დიდ საზარალოდ უცვნია და რადგანაც სხვა და სხვა მიზეზის გამო თვით არ შესძლებია სეირნობის გამართვა, ეს საქმე მიუნდვია თედო დოლიძისთვის, რომელსაც გამგეობისთვის სრული გარანტია მიუცია იმისა, რომ მას არ აზარალებდა (სეირნობიდან წრეს 250 მანეთამდე მოგება დარჩენია). ფირუმოვს ეს სწყენია და გამგეობის წევრობაზეც უარი უთქვამს.

ამით თავდება გამგეობის მოქმედების განხილვა და კრება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას იწყებს. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 2,950 მან. შემოსავლის წყაროები შემდეგია: წარმოდგენები—1,000 მან., სეირნობა და წარმოდგენა—600 მან., სახლის ქირა (წრეს იჯარით აქვს აღებული თეატრი ბაღით და სახლით—300 მ., კერძო შეწირულება—600 მ., საწევრო გადასახადი—50 მან. და თეატრის გაქირავება—100 მან. ხარჯები შემდეგია: წარმოდგენები—1000 მ. განათება და გათბობა—150 მან., თეატრის და სახლის შეკეთება—150 მან., ახალი დეკორაციები—50 მან. (ზოგ დეკორაციის გაკეთებას უფასოდ არიან დაპირებულნი), თეატრის იჯარა—500 მ. რეკვიზიტი—100 მ., ორკესტრი—100 მან., რეჟისორი—400 მან., მოსამსახურე და მეეზოვე—180 მან., წვრილი ხარჯი—100 მან., კასირი—120., და ბიბლიოთეკა—100 მან.

საკმაოდ ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრება ხარჯთ-აღრიცხვას უცვლელად ამტკიცებს.

ჯერი მიდის არჩევნებზე. ზოგი თხოულობს, გამგეობაში შვიდის წევრის ნაცვლად ცხრა აირჩიონ. ხმის უმეტესობით კრება ადგენს, დარჩეს წინანდელი რიცხვი.

გამგეობის თავმჯდომარე თომა ნასიძე გამგეობის წევრთა და თავის სახელით აცხადებს: ჩვენ ყუთს აღარ დავიდგამთო. კრება დაჟინებით სთხოვს, ეს კეთილი საქმე არ მიატოვონ. მეტად დიდის თხოვნის შემდეგ ისინი თანხმდებიან ყუთები დაიდგან.

არჩევნების შედეგი შემდეგია. გამგეობის წევრებად ირჩევენ: თ. ნასიძეს, ა. არუშანოვს, ი. თუშმალაშვილს, ხოლო სცენის მოყვარეთა მხრივ ირჩევენ ი. მჭედლიშვილს და რ. ჯიბლაძეს, რომელნიც გამგეობაში სრულ უფლებიან წევრებად შედიან. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: დ. ხარტიშვილი, ა. ღანდია და ბ-ნი ბასტიანოვი.

ქუთაისის ამბები

თ-დ დ. კ. ნიჟარაძის მიერ „ნებადართული“ რევიზია დეპუტატთა საკრებულოსი 5 ამ თვეს დაიწყო ვიცე გუბერნატორი მაკაროვის თავმჯდომარეობით და სწარმოებს ყოველ დღე. რევიზია სადეპუტატო საკრებულოს მოქმედების ყოველი დარგისა დაწვრილებითა ხდება. როგორც გადმოგვცეს, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ქართულ გიმნაზიის შენობის აგებაზე გაწეულ ხარჯს. კომისიას აზრათ აქვს, თურმე, რევიზია გაუკეთოს ქართული გიმნაზიის შემოსავალ-გასავალს იმ მოსაზრებით, რომ ხსენებული გიმნაზია თავად-აზნაურობის დაწესებულებაა.

რევიზიის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ მაკაროვს იმ გარემოებისათვის, რომ მიწერ-მოწერა თავად-აზნაურთა საკრებულოსა და გიმნაზიის შორის ქართულს ენაზე სწარმოებს. ბ-ნ მაკაროვს ეს გარემოება იმისთვის დაუკავშირებია, რომ ქართული გიმნაზიის მოწაფენი სუსტობენ რუსულ ენაში, თუმცა ჩვენ არ გვესმის რაშუაშია ქართულ ენაზე მიწერ-მოწერა მოწაფეთა რუსული ენის ცოდნასთან.

⁂

ქალაქის თვით-მმართველობაში აღუნიშნავთ, რომ ზოგიერთი აგენტი ქალაქის თვითმართველობისა სალორიის ადგილების შესყიდვის დროს მოიჯარადრეთაგან ბოროტმოქმედების აზრით მყიდველთან შეთანხმებით ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებულ ფასზე ნაკლებათ ყიდდნენ ადგილებს. ამ გარემოებას სასტიკი ყურადღება მიაქცია თურმე ქალაქის გამგეობამ და შესაფერი ზომებიც მიიღო ზევით დასახელებული უწესობების მოსასპობლად.

წმ. თამარ მეფის ტაძარი

ადგილობრივ გაზეთებში მოხსენებული იყო ცნობა ვითომც ეპისკოპოს ანტონისათვის მიემართოს ერთს ჯგუფს თხოვნით, რომ წმ. თამარ მეფის მეფობის შემდეგ 700 წლ. შესრულების გამო მისი ხსოვნის აღსანიშნავად საუკეთესო იქნებოდა მისი სახელობის ტაძრის აგება და რომ ეპისკოპოსს მიეღო თავის თავზე ასეთი ეკლესიის ასაგებ ფულის შეგროვება. ამ ცნობის გამო გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გასულ წელს სამმა ინტელიგენტმა მართლაც მიჰმართა ზემოხსენებულს ეპისკოპოს ანტონს თხოვნით. ეპისკოპოსი თანაგრძნობით მიეგება ამ თხოვნას, მაგრამ მან განაცხადა, რომ შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში, თუ წერილობით მიჰმართავენ მას საზოგადოებათა წარმომადგენელნი და როდესაც ოფიციალად ნება დართული იქნება ფულის შეგროვება წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძრის აგებისათვის. ამის შემდეგ ეპისკოპოს ანტონისათვის არავის არ მიუმართავს ასეთი თხოვნით და საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

ბებელის დაკრძალვა

4 აგვისტოს დიდის ამბით მოხდა ავგუსტ ბებელის დაკრძალვა. დაკრძალვის წინა დღით ციურიხის სახალხო სახლის ვეებერთელა დარბაზი უკვე ვეღარ იტევდა გვირგვინებს, რომლითაც შეამკეს გერმანელ სოციალ-დემოკრატების განსვენებულ ბელადის გვამი გერმანიისა და აგრეთვე ევროპის ყველა კუთხის სოციალისტებმა. დეპუტაციებისა და კერძო პირთა რიცხვი ისე დიდი იყო, რომ პარტიულ ორგანიზაციებს დიდი ენერგია დასჭირდათ წეს-რიგის დასაცავად. სახალხო სახლში ბებელის კუბოსთან ყოველ-დღე 20,000 კაცი მიდიოდა; ტელეგრაფი განუწყვეტლივ მუშაობდა და მთელი ქვეყნის ყოველი კუთხიდან აუარებელი სამძიმრის დეპეშა მოჰქონდა. 4 აგვისტოს სახალხო სახლს დილიდანვე მიაწყდა ხალხი. პროცესია სამ კოლონად გაიყო. უმთავრეს კოლონაში მიდიოდნენ რეიხსტაგის დეპუტატები, გერმანელ სოციალ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტი, რეიხსტაგის ფრაქციის წევრები, საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, რუსეთის, იტალიის და სხვათა წარმომადგენლები. პროცესია კრემატორიისაკენ *) სრულ ორ საათზე გაემართა. ქუჩებში აუარებელი ხალხი იდგა. წესრიგს ორგანიზატორები იცავდნენ. პროცესიაში მხოლოდ ორი პოლიციელი ერია: რომელნიც პროცესიის თავში მიდიოდნენ. მათ მისდევდნენ გამგები წითელი ლენტებით მხარზე, ორკესტრის შემდეგ გვირგვინები მიჰქონდათ. თითო რიგში ოთხი გვირგვინი იყო. ლენტები თითქმის ყველა წითელი ფერისა იყო. განსვენებულის უბრალო კუბო ესვენა მხოლოდ ბზის შტოებით შემკულ ბალდახინზე. კუბოს უკან მისდევდნენ დელეგაციები, რომელითაც სამასამდე წითელი დროშა მიჰქონდათ. მთელი პროცესია ოთხი ვერსის მანძილზე იყო გაჭიმული. მაგრამ საუკუნო განსვენების ადგილამდე მხოლოდ ცოტაოდენი ხალხი შეუშვეს. დანარჩენებმა კი შეუხვიეს მოედნისაკენ, სადაც შავი მაუდით მოსილი ამაღლებული ადგილი იყო. აქ შეიკრიბა ხალხი და წარმოითქვა სიტყვები. საღამოს 5 საათზე ბებელის გვამი დასწვეს. ქალაქის ორკესტრი სამგლოვიარო ჰანგს უკრავდა. ექვს საათზე ხალხი „მარსელიეზის“ მღერით დაიშალა.

ბებელის დაკრძალვის დღეს იმის სახელის პატივსაცემლად გერმანიას თითქმის ყველა ქალაქში კრებები გაიმართა. განსაკუთრებით ბევრი ხალხი დაესწრო კრებებს ჰამბურგში და ბერლინში, აქ შეიკრიბა 20,000 კაცი; სიტყვა წარმოსთქვა ე. ბერნშტეინმა.

სხვა და სხვა ამბავი

მიშჩუკის საქმე.

ხარკოვის სამოსამართლო პალატამ ორჯერ განიხილა სენატის მოწერილობით კიევის მაძიებარ პოლიციის უფროსის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა იუშჩინსკის ბავშვის მკვლელობის აღმოსაჩენად ყალბი იარაღის წარდგენა. საქმე ის არის, რომ იუშჩინსკის მკვლელობის ძებნის დროს კიევის ერთ გორაკზე, მიშჩუკის მოხსენებით, მიწა გათხარეს და იქ იპოვეს ჩანთაში ჩაწყობილი იარაღი, რომლითაც უნდა მოეკლათ იუშჩინსკი, მაგრამ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ნაპოვნი იარაღი არ შეეფერება ჭრილობების ხასიათს. ამიტომ მიშჩუკს ბრალი

ჩამოვარდნა დამოკიდებულია წმინდა ეკონომიურ მიწათ-მფლობელობის ფორმათა შეცვლაზე. ეკონომიურ ანტაგონიზმის განსამარტავად **ამ ერთა ცხოვრებაში ნაციონალურ პრინციპს არავითარი ადგილი არ უჭირავს. სულ სხვაა ჩვენს პირობებში აღძრულ ეკონომიურ კითხვების განმარტება.**“[10]

რაშია საქმე? რითი განსხვავდებით ჩვენ საფრანგეთ-ინგლისიდან? ნაციონალურ პრინციპს არსებობით—ამბობს ჯორჯაძე.

საფრანგეთში და ინგლისში ეკონომიური ცხოვრების განვითარება სწარმოებს ბუნებრივად, თავისუფლად, პირიქით, მის მსვლელობას სახელმწიფო აჩქარებს კიდეც, ხოლო ჩვენში ეკონომიური ცხოვრების ბუნებრივი მსვლელობა დარღვეულია, ფრთა-შეკვეცილი. ამ საკითხს არჩ. ჯორჯაძე თავის თხზულებებში სპეციალურად იკვლევს, მას ჩვენ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ, ხოლო ცხოვრების გამუქება აი რა დასკვნამდე მიჰყავს ჩვენი ავტორი: „ჩვენს სოციალურ სხეულში—ამბობს ჯორჯაძე — ჩასახული იყო ელემენტები მის განახლებისა. საქართველოს სახელმწიფოებრივობა დაცული რომ ყოფილიყო, ეროვნულ ფარგალში მოთავსებული სოციალური **ჯგუფები** ნორმალურად განვითარდებოდნენ. კლასთა ბრძოლის საშუალებით, რომელიც გარეშე მდგარ ძალით შეფერხებული და შეჩერებული არ იქნებოდა, ქართულ საზოგადოების ევოლიუცია დემოკრატიზმისაკენ განთავისუფლება ნამდვილი და არა თვალთმაქცი იქნებოდა. ყოველივე ეს მოხდებოდა გარეშე პოლიტიკური ძალა რომ არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში და ქართველ ხალხს ძალთა განვითარების შემშლელი გარედან არავინ გამოსჩენოდა“.[11] როგორც ხედავთ, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენას ჯორჯაძე ხსნის გარეშე ძალის ხელის შეშლით.

ჯორჯაძისათვის სოციალიზმი თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების და შეგნების ნაყოფი იყო. ამიტომ ის ცდილობდა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების—რაიცა ნიშნავდა მრეწველობის დაწინაურებას—ხელის შეწყობას,—იმისათვის კი არა, რომ მრეწველობა დაიცვას, არამედ რომ განვლოს და გადაიაროს—როგორც მარქსი ამბობდა—მრეწველობის ხანა. „თუ კაპიტალიზმი საზოგადოდ მოსპობს ფეოდალურ წყობილების ნაშთებს —ამბობს არჩ. ჯორჯაძე—ნუღარ შეუშინდებით ახალ ფორმებს ეკონომიური მოქმედებისას და საქმიანობა დავსახოთ პრაქტიკულ გამარჯვების გეგმად. კაპიტალიზმის საჭიროების განვითარება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა შევურიგდეთ შრომისა და კაპიტალის შუა არსებულ წინააღმდეგობას.“[12] ჯორჯაძის იდეალი—თავისუფალი ერია, ერი—კლასობრივ დანაწილებიდან თავისუფალი. როგორც ვიცით, კლასობრიობის აღსასრულს სოციალიზმს მოასწავებს, ხოლო ამ იდეალს „ქართველობის ნორმალურ **გაერთიანებას** გზაში ეღობება ორი მოვლენა: ფეოდალიზმის ნარჩენი, ერის ერთი ნაწილის უპირატესობა და ბურჟუაზიის ფეხზე დადგომა, ერის მეორე ნაწილის ქონებრივი უპირატესობა. ფეოდალიზმს ბოლო მოუღო ისტორიულმა გარემოებამ“.[13] „და ამით ეროვნულ გაერთიანებისათვის ერთი დაბრკოლება ავიცილეთ თავიდან და დაგვრჩა მეორე დაბრკოლება, ჯერ კიდევ სუსტი, ხოლო მომავალში გაძლიერებული და გაღონიერებული — ბურჟუაზიული ქონებრივი უპირატესობა“.[14] ჯორჯაძე აშკარად და მკაფიოდ სახავს როგორც ფეოდალიზმს ისე კაპიტალიზმს (ბურჟუაზიას) ეროვნულ მთლიანობის დამარღვეველად. მაგრამ მოვლენა ბურჟუაზიისა აუცილებელია და როგორც ასეთის მისი დამწიფებით უნდა დავაჩქაროთ, როგორც ფეოდალიზმის მოსპობა ფეოდალიზმის სიმწიფით განხორციელდა.—აი ჯორჯაძის ფილოსოფია და თქვენ შეიძლება ამაში ჯორჯაძეს არ დაეთანხმოთ, მაგრამ ეს დაუთანხმებლობა იქნება უთანხმოება ტაქტიკური და არა პრინციპიალური, რადგანაც მრეწველობის განვითარებას ჯორჯაძე ჰქადაგებს სოციალიზმისათვის, რაიცა ნიშნავს ეროვნულ მთლიანობას.

მეოთხე ტომი ეკუთვნის ჯორჯაძის აზროვნობის პირველ ხანას. ამ ხანაშიაც კი, როდესაც ის შედარებით სუსტად გამოსთქვამდა თავის სულისკვეთებას — ჯორჯაძე სრულიად ანვითარებს სოციალისტურს პრინციპს, ხოლო შემდეგ ნაწერებში, როდესაც ჩვენ უკვე მომწიფებულ მწერალთან გვაქვს საქმე, ყოველ ენის მობრუნებაზე გვიდგება თვალ წინ შეგნებული სოციალისტი, რომელიც პროგრამასა და მოქმედებას ერთიანად უფენდა სოციალისტურ სამოსელს. ამიტომ იყო, რომ ჯორჯაძე ეკონომიურ განხეთქილებას ხელებს კი არ აფარებდა, არამედ ამ განხეთქილების ერთ მხარეს, ხალხის მხარეს, მუდამ იცავდა და მის ბრძოლას ყოვლის საშუალებით ამართლებდა. მხოლოდ სოციალისტს შეუძლიან აღიაროს და დაიცვას საზოგადოებაში არსებული ეკონომიური განხეთქილება და ბრძოლა. ეს სწამდა ჯორჯაძეს და ამტკიცებდა: „უარყოფა ეკონომიურ ანტოგონიზმისა თვით ცხოვრების უარყოფაა“[15], ხოლო ამ ანტოგონიზმს ჯორჯაძე ნამდვილად ისე ხსნის, როგორც პირწმინდა სოციალისტი. მოუსმინეთ: „**სიმდიდრეს შრომა ჰქმნის.** უმთავრესი წინააღმდეგობა აწინდელი ეკონომიური ცხოვრებისა ის არის, რომ **ყველგან წარმოება საზოგადოებრივია და ამ ნაწარმოების ხმარება და საკუთრება კი გაკერძოებული—ინდივიდუალური.** და სანამ ეს წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კერძო საკუთრებას შორის არ მოისპობა, ეკონომიურ ცხოვრების წინააღმდეგობა მწვავე იქნება“.[16] (კურსივი ჩვენია. თ. ღ.) მაგრამ მუდამ იქნება ეს წინააღმდეგობა როგორც ევროპის ბურჟუაზიული მოაზრეები ფიქრობდნენ და რასაც „ივერიის“ ფურცლებზე ჩვენი მოღვაწენი ამტკიცებდნენ ორგანიულ (Органическая) თეორის მიხედვით? არა, სოციალისტი არჩილ ჯორჯაძე ჯერ სურვილს გამოსთქვამს: „შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა **უნდა** მოისპოს“,[17] ხოლო ეს სურვილი ოპტიმისტიურია, წმინდა სოციალისტური, ობიექტიურ ნიადაგიდან აღმოცენებული, და ამიტომ ჯორჯაძე თანამედროვე ცხოვრებაში არსებულ ეკონომიურ უთანხმოების მოსპობაში დარწმუნებულია. ის დაბეჯითებითი კილოთი ამბობს: „**თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობა ამ გამწვავებულ უთანხმოების გაუქმებისაკენ მიისწრაფვის.** ჩვენი ბურჟუაზია ჯერ კიდევ ნორჩია, მან გუშინ აიდგა ფეხი. ხოლო ექვს გარეშეა, იგი გაიზრდება და ამ ზრდაში გამაგრდება. **ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს ჩვენ, თუ მხედველობიდან არ დავკარგეთ საბოლოვო მიზანი**“,[18] ე. ი. სოციალიზმი. (კურსივი ჩვენია. ავტ.)

ამნაირად არჩილ ჯორჯაძე სოციალისტურად აზროვნობს. ცხოვრების მოვლენებს სოციალისტურად ხსნის, ბრძოლას სოციალისტურად აწარმოებს და ჩვენი საზოგადოების უბადრუკნი კი მას ბურჟუაზიულ ეკონომისტად ნათლავდნენ!

თევდორე ღლონტი.

---

*) კარგა ხანია რაც დასავლეთ ევროპაში განსვენებულთა გვამების დაწვა შემოიღეს. ისეთ სასაფლაოს სადაც მკვდრებსა სწვავენ კრემატორია ჰქვიან.

[10] ტ. IV გვ. 11:

[11] ტ. 1, გვ. 134.

[12] ტ. 2, გვ. 295—296.

[13] ტ. 4, გვ. 205.

[14] იქვე.

[15] ibid, გვ. 95.

[16] ibid, გვ. 206.

[17] ibid, გვ. 97.

[18] ibid, გვ. 206—207.

სდევს სიყალბეში, ვითომც მიშჩუკს წინასწარ ჩაემარხოს ეს ყალბი იარაღი და მერე ვითომ აღმოეჩინოს. მიშჩუკი ორივეჯერ დამნაშავედ იცნეს და ღირსების ახდით საპყრობილე მიუსაჯეს. მთელი ბრალდება დაფუძნებული იყო ვინმე კუშინერის ჩვენებაზე, რომელიც მაძებარ პოლიციაში მსახურებდა. ეხლა კუშინერს ბრალმდებელისათვის განუცხადებია, სამართალში მიმეცით, რადგანაც იარაღი ჩემი ჩამარხული იყო და მიშჩუკი მე შევიყვანე შეცდომაში განზრახ, რადგანაც ამისათვის შემაგულიანა მიშჩუკის ერთმა მოქიშპემ. ამის გამო მიშჩუკს უთხოვია უმაღლესი ბრძანებით საქმის ხელ-ახლად განხილვა.

ბალკანეთის მდგომარეობა

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

10 აგვისტო

ლონდონი. რეიტერის ცნობით ლონდონში არაფერი არ იციან იმის შესახებ, ვითომც სახელმწიფოებს მიეღოთ ახალი დადგენილა ადრიანოპოლის გამო. მოლაპარაკება გრძელდება. ჰფიქრობენ, მოკლე ხანში სახელმწიფონი უკანასკნელ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ათინა. სალონიკიდან იტყობინებიან, ბერძნებმა გადასცეს ბულგარელებს, შესაფერისი ოქმის ხელის მოწერის შემდეგ ქალაქი გიუმიულჯინი. ბულგარეთის ჯარი მივიდა ქსანტაში, მაგრამ, ბერძნებმა მოსთხოვეს გადასაცემ ოქმისათვის ხელი მოეწერათ. ბულგარელებმა უარი სთქვეს. ამის გამო ქსანტა არ გადაუციათ ბერძნებს.

რომი. „ჯიორნალე დ'იტალია“-ს სიტყვით გაზეთის თანამშრომელს ულაპარაკნია რუსის ელჩთან, კრუპენსკისთან. უკანასკნელს უთქვამს, რომ ნაადრევია ჯერ იმის თქმა, რომ რუსეთი შეიარაღებით გამოვა ოსმალეთის წინაამდეგ. რუსეთმა ეხლა გადასწყვიტა, მშვიდობიან მაგრამ ბეჯითი მოწადინებით აიძულოს ოსმალეთი ლონდონის „ხელშეკრულების პატივისცემა და ამ რიგად საკითხი მშვიდობით გადასწყვიტოს. კრუპენსკი იმედოვნებს სახელმწიფოთა კოლექტივური გამოსვლით ოსმალეთის წინააღმდეგ ოსმალეთისათვის ფინანსიურ ბოიკოტის გამოცხადება ყველაზე უკეთესი ღონისძიება იქნებოდა. ყველა სახელმწიფონი ერიდებიან საქმის გართულებას ბულგარეთ ოსმალეთის საკითხის გამო და ამას ანგარიში უნდა გაუწიოს პორტამ. ადრიანოპოლის საკითხი არც ისე რთულია, როგორც იგი მიაჩნიათ ზოგიერთებს. ვის ხელში იქნება ადრიანოპოლი სულ ერთია, რადგანაც ბულგარეთ-ოსმალეთის შორის გამწვავება არ მოისპობა, უფრო დიდი გამწვავება არსებობს წინანდელ მოკავშირეთა შორის; განსაკუთრებით ბულგარეთ-საბერძნეთის საკითხი კავალის შესახებ შეიძლება შემდეგში ძალიან გართულდეს. კრუპენსკის აზრით ბულგარეთი წარმოადგენს ძლიერ მეომარ ეროვნებას, რომელსაც მეტად აქვს განვითარებული ეროვნული თვითშემეცნება შესაფერისი სამხედრო მომზადებაც აქვს. ბულგარეთი მალე გამობრუნდება მიყენებულ უბედურებისაგან და დიდ როლსაც ითამაშებს მომავალში. დასასრულ კრუპენსკიმ განაცხადა, რომ გადამეტებულად მიაჩნია ხმები ბულგარელების სიმკაცრის შესახებ.

ათინა. გიუმილჯინის მაჰმადიანმა და ბერძენმა მცხოვრებლებმა სალონიკის მიტროპოლიტის პირით სთხოვეს დიდ სახელმწიფოთა მეფეებს, ნუ ჩააგდებენ მათ ხელმეორედ ბულგარეთის მკაცრმფარველობის ქვეშ.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო უარყოფს სტამბოლის ცნობებს, ვითომც ბულგარეთს დამოუკიდებლად მოლაპარაკება დაეწყოს ოსმალეთთან. ბულგარეთის მთავრობას ადრიანოპოლის საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნია ლონდონის ხელშეკრულებით და ამიტომ საჭიროდ არა სცნობს ოსმალეთთან რაიმე მოლაპარაკება გაჰმართოს ამ საკითხის გამო.

ბელგრადი. ემზადებიან ჯარის შეხვედრისათვის. ჯარი 11 აგვისტოს მოვა. ამ დღისათვის არის დანიშნული სამეფო საგვარეულოს თავის ყარაგეორგის ძეგლის კურთხევა.

ბუქარესტი. 12 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მოხდება უმაღლესად დამტკიცებულ ხელშეკრულებათა გაცვლა-გამოცვლა.

ბელგრადი. სარძიკველი ჩაჰყარეს ომში დახოცილთა შვილებისათვის თავშესაფარისა.

ათინა. მეფის ბრძანებით დათხოვნილია 7 რაზმი ჯარისა. დედეაგაჩი, რომელიც მალე ბულგარელების ხელში გადავა, დასტოვეს ბერძნებმა და მაჰმადიანებმა და საბერძნეთის ტერიტორიაში გადასახლდნენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

10 და 11 აგვისტო.

უცხოეთი

ჰააგა სამშვიდობო კონგრესმა გამოსთქვა საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების სურვილი და აგრეთვე ისურვა, რომ ამერიკასა და ინგლისის შესახებ კანონის გამოცემით გადასაწყვეტად წარედგინოს ჰააგის სამედიატორო სასამართლოს, თუ ამ საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტას დიპლომატია ვერ შესძლებს. კონგრესმა მწუხარება გამოსთქვა, რომ საერთაშორისო ფინანსიური წრეები ბალკანეთის ომის დროს მეომართ ეხმარებოდნენ. გამოთქმულია სურვილი, რომ მესამე კონფერენციის საქმეთა მორიგეობაში შეტანილ იქმნეს საკითხები შესახებ საერთაშორისო უფლების კოდიფიკაციისა და დაწესებული იყოს აუცილებლივ სამედიატორო სასამართლო სახელმწიფოთა შორის აღძრულ სადავო საკითხების განსახილველად. საჭიროდ არის მიჩნეული, რომ კონგრესის 1915 მოწვევისათვის ეხლავე შეუდგნენ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას.

პრაგა. „ნაროდნი ლისტი“ იტყობინება, რომ ჩეხიის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის მფარველს ერცჰერცოგს ფრანც ფერდინანდს არ დაუმტკიცებია აკადემიისაგან აკადემიის წევრად არჩეული რუსი მეცნიერი არქეოლოგი უსპენსკი. ამის გამო გაზეთი სწერს, რომ აკადემიკოსთა უმრავლესობა—ჩეხები მუდამ მადლობით და სიმპატიით მოიგონებენ რუსის დიდ მეცნიერს.

ჰააგა. მოხდა უკანასკნელი კრება სამშვიდობო კონგრესისა, დადგენილია: დეპეშით მადლობა გადაუხადონ შეერთებულ შტატების პრეზიდენტს მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებისათვის. აგრედვე დადგენილია, რომ წინადადება მისცენ ამერიკის მთავრობას, ნუ გაამაგრებს პანამის არხს და ბერნის ბიუროსა და სხვა და სხვა ქვეყნების მშვიდობის მოყვარე საზოგადოებებს, რომ მათ კავშირი იქონიონ დეპეშათა დიდ სააგენტოებთან, პრესა გამოსთქვამს სურვილს. რომ მედიატორეთა სასამართლოს ინსტიტუცია გაფართოვებული იქმნეს. უახლოესი კონგრესი მოპატიჟებული იქმნება სან-ფრანცისკოში.

ბერლინი. მოსული ცნობით ჩინელ მეამბოხეთა ბელადს ხოხაინინს ბოდიში მოუხდია გერმანიის ელჩის და სამხედრო გემის უფროსის წინაშე სამწუხარო ინციდენტის გამო.

ტოკიო. რადგანაც საფრანგეთის ელჩი ჟერარი წავიდა, ელჩთ უხუცესად რუსის ელჩი რჩება.

გაზეთი „ასახი“ უარყოფს რუსულ გაზეთების ცნობას, ვითომც იაპონიასთან მოლაპარაკება გაემართოს ურგის მთავრობას მონგოლეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. მართალია ამ საკითხის შესახებ მიჰმართა იაპონიის მთავრობას ურგის მთავრობამ თხოვნით, მაგრამ იაპონიამ რუსეთთან თანხმობის გამო უარჰყო იგი.

ვაშინგტონი. მექსიკის საზღვარზე სდგას 11 ათასი ჯარის-კაცი.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ გაუგია, რომ ჩეხიის აკადემიას შუამდგომლობა აღუძრავს რუსის მეცნიერის უსპენსკის აკადემიკოსად დამტკიცებისა ექვსი კვირის წინად. ცნობით უსპენსკის დაუმტკიცებლობის მიზეზი პოლიტიკურია, რადგანაც უსპენსკი სლოვიანელთა ნაციონალისტების მეთაურად ითვლება. თავის დროზე უარყოფილი იყო ლევ ტოლსტოის აკადემიკოსად დამტკიცებაც, რადგანაც ტოლსტოი მშვიდობის მოყვარე იყო.

თეირანი. კაბინეტის შედგენისათვის ცდა უშედეგოა ჯერ-ჯერობით. პირად უთანხმოების გამო მინისტრები აღარ დაიარებიან სამინისტროში. ყარ ამანშაჰის მახლობლად ჭირი აღმოჩნდა.

რუსეთი

პეტერბურგი. ბეჭვდითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა „სევერნაია პრავდა“—№ 9.

მოსკოვი. შჩეპკინის გარდაცვალების შემდეგ ორმოცდათი წლის შესრულების გამო, პიატნიცკის სასაფლაოზე პატარა თეატრის მსახიობების მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სამარესთან. სამარე შემკულია 15 გვირგვინით, სხვადასხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელებისაგან. დაესწრო შვილისშვილი განსვენებულისა სახელმწიფოს სათათბიროს წევრი შჩეპკინი და მოსკოვის ყველა თეატრთა წარმომადგენელნი. პატარა თეატრის გამგემ თავადმა სუმბათაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა. მეორე პანაშვიდი გადაიხადა სათეატრო საზოგადოებამ და ქალაქის გამგეობამ.

პეტერბურგი. ბეჭვდითი სიტყვის კომიტეტმა დაიჭირა „სევერნაია პრავდა“-ს № 8.

მოვიდა ამერიკის მთავრობის წარმომადგენელი გუზბანდი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მიზეზი რუს მუშათა აუარებელ რიცხვის ამერიკაში გადასახლებისა. ეს გამოკვლევა საჭიროა ამერიკისათვის გადასახლებულთა შესახებ კანონის გამოსაცემად.

კოზლოვი. საერობო გამგეობამ დაუგზავნა ყველა საგუბერნიო და სამაზრო საერობო გამგეობებს სათათბიროს წევრის სნეჟკოვის მოხსენება შესახებ სასოფლო-სამეურნეო კავშირისა და მოუსავლობის სახელმწიფოსაგან დაზღვევისა.

პროსკუროვი. მოიჯარადრე სკოჩინსკიმ ადგილობრივ ბანკიდან მიიღო 150.000 მან. და საზღვარ გარედ გაიქცა.

სარატოვი. მდინარე ვოლგაზე, სინინსკის მახლობლად დაეჯახა ერთმანეთს ორი სახალხო გემი ვაჭართა „ალექსი“ და ფინლანდიისა „კალევა“. „კალევას“ გამოენგრა მარჯვენა კედელი, მეოთხე კლასის განყოფილება დაინგრა და მთელი ტანი დაუზიანდა ძალიან, ერთი მგზავრი დაშავდა, ერთი წყალში გადავარდა, მაგრამ უშველეს. ორივე გემი სარატოვში მოვიდა.

სევასტოპოლი. [illegible]
საშინელი გრიგალი ამოვარ
გემების მიმოსვლა შეფერხებული

წერილი რედ. მიმარ

ბატონო რედაქტორო! გთოხ
თქვენ პატივცემულ გაზეთში, მ
თავსოთ შემდეგი:
27 ივლისს 1913 წ. სოფელ ა
შენში სასოფლო სკოლის შენო
სასარგებლოდ ადგილობრივ სცე
მოყვარეთ მიერ გამართულ ი
წარმოდგენა. წარმოადგინეს „გ
ცემი“ გედევანიშვილისა. წარმო
გენის შემდეგ გაიმართა ცეკვა. გ
ლოს ვახშამი.
შემოსავალი იყო გაყიდულ ბილ
თებიდან—204 მ. 88 კ., ბუფეტ
გან—69 მ. 89 კ.; ვახშმისა დარჩა
მანეთი 93 კაპეიკი; კერძო შემო
ვალი—7 მანეთი. სულ მთელი შემ
სავალი—292 მ. 70 კ.
რამდენიმე აქაურმა გლეხმა ვახშმ
თვის შემოსწირეს 17 ქათამი.
გასავალი: სცენა დაჯდა—35 მან
თი. დანარჩენი დანახარჯი—63 მ.
კ. მთელი ხარჯი 98 მ. 88 კ.
სოფლის ამორჩეულ პირთ, გიო
გი კობიაშვილს და შაქრო ყაულ
შვილს, რომლებსაც აბარიათ სკ
ლის დამთავრება, გადაეცათ ფულ
180 მანეთი და სცენა სკოლის საკ
თრებად, ღირებული 35 მ. ამას გა
და შემოსასვლელია გაყიდულ ბილ
თებიდგან 13 მ. 82 კ. ესეც გარდა
ცემით, როდესაც შემოვა.
ვახშმის სურვილი განაცხადა 12
პირმა, რომელთაც გამოიღეს სავა
შმო ფული 87 მ. 64 კ., საიდგან
დარჩა ზემოხსენებული 10 მ. 93
ვუძღვნი გულწრფელ მადლობ
იმ სცენის მოყვარეთ, რომელთ
მიიღეს მხურვალე მონაწილეობა წა
მოდგენის და სალამოს მოწყობაშ
აგრედვე იმ პირთ ადგილობრივ მცხო
ვრებთა შორის, რომელთაც არ და
ზოგეს რაიმე დახმარება და შრომ
ნამეტნავათ მადლობის ღირსნი არ
ან ბატონი ვლადიმერ [illegible]
და ადგილობრივ სოფლის მწერალ
სიკო ამირანიძე.

წარმოდგენის და სადამოს გამგე ელე
**მიხეილის ასული კნეინა ანდრონი
შვილისა**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 31 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგარ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე ბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისაკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 მ. **ფომინა-თხიშვილისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქამანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 547).
5—6 **ლ. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 40. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შენახვაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, [illegible] ქუჩა ან და მა[illegible].

შემო ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ.-განი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ექიმი ა. ნ. ჯიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ა. შ. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

კვასის ქარხანა
„გემო“
აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ
კვასი „გემო“
მოწონებულია ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის მიერ.
553

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12	**ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ქალაქის სავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით
სამკურნალო
[illegible] ნარზანი
აბანო
ძვირფასი მთის ჰაერზე
ძმ. ჟორჟოლაძეების
აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას
1385

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
# საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოლიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისთვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრედვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10 -12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათ გან 53 ქალი. 1424

საბუღალტრო კურსები
# გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 141

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდე
შემდეგი წიგნები:

თხზულ. აკაკისა	ტ. 1,	1 მ.
,, ,,	ტ. 2-ე,	1 მ.
,, ალ. ყაზბეგისა		3 მ. 50 კ.
,, რ. ერისთავისა	ტ. 1,	1 მ.
,, ,,	ტ. 2-ე,	40 კ.
,, შ. არაგვისპირელისა	წ. 1,	50 ,,
,, ,,	წ. 2-ე,	40 ,,
,, ,,	წ. 3-ე,	40 ,,
,, ,,	წ. 4-ე	50 ,,
,, ,, შიო თავადი,		60 ,,
,, დ. კლდიაშვილისა	ტ. 1,	75 ,,
,, ,,	ტ. 2-ე,	75 ,,
,, გ. წერეთლისა	ტ. 1,	60 ,,
,, ,,	ტ. 2-ე,	60 ,,
,, ეკ. გაბაშვილისა	ტ. 1,	1—20 ,,
,, დ. მეგრელისა	ტ. 1,	70 ,,
,, ,,	ტ. 2-ე,	70 ,,

ახლად მიღებული წიგნები:

როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედ. დაწესებულება, ა. მ. კახელაძისა	10 ,,
ვეფხის-ტყაოსნის შედგენილობა, დ. კარიჭაშვილისა,	5
ძველი საქართველო	4 მ.—
Изъ лингвист. поѣздки въ Абхазію, Марра,	50
Очерки по этнологіи Кавказа, Чурсина	60

სარგის კაკაბაძე.

ბაგრატ მეფე, მე-15 ს. რაჭა-არაგვეთის მფლობელი,	10
ბაგრატ უცნობი მე-14 საუკ. რაჭა-არაგვეთის მფლობელი	10
სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი, 1488 წ.	1
ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი?	20
მე-13 საუკ. პირვ. ნახევრის საქართველოს კათალიკოზები	10
თმოგველთა გვარის ისტორიისათვის	15
დავით აღმაშენ. მემატიანის ვინაობა	10
სამართ. კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო,	10
ძეგლის დადება გიორგ. ბრწყ. მიერ	20
თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა	1—20

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 12

თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 ს
სწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი
სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,
რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის და
ლსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვე
ლები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ
რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარი
მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთა
რიშვილი.** 141

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 7[illegible].

ახალ-ახალი
**მტკვრისა თართი, ზ
თხი, ლოქო, და სხუდაკ**
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქიტკ
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მ
**ღაზიაში მარტის დოში, იანი,
პა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნა
რი **თევზეულობა** დ
კონსერვები.

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.